

დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა

**მეანობა-გინეკოლოგია**

/სანგრძლივობა – 4 წ. - 44 თვე/

**I. ზოგადი დებულებები.**

**1. პროგრამის მიზანი და ამოცანები**

რეზიდენტურის პროგრამა მეანობასა და გინეკოლოგიაში უნდა უზრუნველყოფდეს სტრუქტურირებულ საგანმანათლებლო გამოცდილებას ჯანმრთელობის დაცვის იმ არეში, რომელიც მოიცავს მოცემულ სპეციალობას. რეზიდენტურის პროგრამები შეიცავენ პაციენტის მომსახურების კომპონენტს, ამიტომ პროგრამის დაგეგმვისას პირველადი პრიორიტეტი უნდა გახდეს განათლების უზრუნველყოფა და არა მხოლოდ მკურნალობის შემოთავაზება.

საგანმანათლებლო პროგრამამ მეანობასა და გინეკოლოგიაში უნდა უზრუნველყოს რეზიდენტისთვის ცოდნის და უნარ-ჩვევების შექმნა, რომლებიც აუცილებელია პრაქტიკოსი მეან-გინეკოლოგისათვის, მათ უნდა შეიძინონ მზარდი პასუხისმგებლობის გრძობა, აგრეთვე პაციენტისათვის შესაფერისი ზედამხედველობის აღმოჩენის უნარ-ჩვევები, ფორმალური ინსტრუქტაჟის ჩატარების უნარი, კრიტიკული შეფასების ჩვევა და კონსულტირების უნარი.

იმისათვის რომ მიადწიოს პრაქტიკოსი ექიმის დონეს, რეზიდენტურის პროგრამის გავლისას რეზიდენტმა უნდა გამოიმუშავოს კომპეტენცია 6 ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროში:

1. პაციენტის ეფექტური და თანაგრძობით აღსავე მკურნალობა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით.
2. არსებული და განვითარებადი ბიოსამედიცინო, კლინიკური და კოგნიტიური (მაგ, ეპიდემიოლოგიური და სოციო-ქცევითი) მეცნიერებების შესახებ სამედიცინო ცოდნა და ამ ცოდნის დანერგვა პაციენტზე ზრუნვაში.
3. პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება და სრულყოფა, რომელიც მოიცავს პაციენტის მკურნალობის საკუთარი გამოცდილების კრიტიკულ შეფასებას, სამეცნიერო მტკიცებულებების გათავისებებას და ასიმილაციას, ასევე პაციენტის მკურნალობის გაუმჯობესებას.
4. ინტერპერსონალური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამოიმუშავება, რის შედეგადაც ხდება ინფორმაციის ეფექტური გაცვლა და ურთიერთობა პაციენტებთან, მათი ოჯახის წევრებთან და სხვა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებთან.
5. პროფესიონალიზმი, რომელიც გამოვლინდება პროფესიონალური პასუხისმგებლობის გადაცემით, ეთიკური პრინციპების დაცვით.
6. სისტემატიზაციაზე დაფუძნებული პრაქტიკა, რომელიც გამოვლინდება ცოდნით და პასუხისმგებლობით.

**2. სპეციალისტის აღჭურვილობა**

მეანობა-გინეკოლოგია წარმოადგენს კლინიკური მედიცინის დარგს, რომელიც მოიცავს მეთვალყურეობას და სათანადო ჩარევებს ნორმალური და პათოლოგიური ორსულობის და მშობიარობის დროს, აგრეთვე ქალის სასქესო ორგანოების, ქვედა საშარდე გზების, მენჯის ფსკერისა და მკერდის დაავადებების პრევენციას, დიაგნოსტიკას და მკურნალობას .

მეან-გინეკოლოგი არის ექიმი სპეციალისტი, რომელიც სწავლობს ქალის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ პროცესებს დაბადებიდან სიკვდილამდე და სრულყოფილად ფლობს პათოლოგიურ პროცესთა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკის, პრევენციის და მკურნალობის მეთოდებს.

**ექიმ-სპეციალისტ მეან-გინეკოლოგის ზოგადი უნარ-ჩვევები**

- ანამნეზის შეკრება
- ავადმყოფთა ორსულთა და მშობიარეთა ფიზიკური გამოკვლევა: ისპექცია, პალპაცია პერკუსია აუსკულტაცია, ბიმანუალური გამოკვლევა.
- დიაგნოსტიკის ინსტრუმენტალური მეთოდების გამოყენება: კოლპოსკოპია, კოლპოციტოლოგია, ჰისტეროსკოპია, ჰისტეროსალპინგოგრაფია, ლაპარასკოპია, ულტრასონოგრაფია.
- ნაყოფის ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდები: კარდიოტოკოგრაფია, პირდაპირი ელექტროკარდიოგრაფია, პირდაპირი ელექტროენცეფალოგრაფია, ნაყოფის პერიფერიულ სისხლში -ის განსაზღვრა.
- ფიზიოლოგიური ახალშობილის შეფასება და მოვლა
- ახალშობილის რენიმაცია სამშობიარო ბლოკში
- გამოკვლევის კლინიკო ლაბორატორიული მეთოდები.
- კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდების გამოყენება
- ორსულის სამეანო გამოკვლევა
- სამეანო მაშები და ვაკუუმ ექსტრაქცია.
- საკეისრო კვეთის წარმოება
- პერინეოტომია ეპიზოტომია, რბილი სამშობიარო გზების მთლიანობის (I-IV ხარისხის ჩახვეის) აღდგენა.
- ოპერაციები საშვილოსნოს დანამატებზე ლაპარასკოპიული და ლაპარატომიული მეთოდით
- საშვილოსნოს ს/ც ამპუტაცია და ექსტირპაცია დანამატებითა და დანამატების გარეშე ლაპარასკოპიული და ლაპარატომიული მეთოდით.
- საშოსმხრივი ოპერაციები
- შარდის შეუკავებლობის ოპერაციული მკურნალობა
- შინაგან სისხლდენასთან ბრძოლის ქირურგიული მეთოდები
- ინფუზიური და ტრანსფუზიური თერაპიის ტექნიკა.
- ოპერაციები საშვილოსნოს განვითარების ანომალიების დროს.
- დიაგნოსტიკური და ქირურგიული ლაპარასკოპია
- კორდოცენტეზი, ამნიოცენტეზი.
- საშვილოსნოს ღრუს კიურეტაჟი.
- საშვილოსნოს ყელის პათოლოგიების მკურნალობა.
- ჰისტერორეზექტოსკოპია.
- მენჯის ღრუს ორგანოების ანთებითი დაავადებების მკურნალობა.
- ოჯახის დაგეგმარების პრინციპები.
- ქალის სასქესო ორგანოების ფისტულების ქირურგიული მკურნალობა.
- საშვილოსნოს გარეშე ორსულობის ქირურგიული მკურნალობა
- საშვილოსნოს ღრუს გამოფხეკა სისხლდენების დროს
- ინტენსიური თერაპიის ჩატარება
- ჰემორაგიული შოკის მკურნალობა
- კოაგულოპათიის მკურნალობა

**დაავადებების/ პათოლოგიური მდგომარეობების ჩამონათვალი, რომელთა კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას მოიცავს „მეანობა-გინეკოლოგია“**

- ქალის სასქესო ორგანოების ნორმალური და პათოლოგიური ანატომია
- მენსტრუალურ ოვარიალური ციკლი: (ფიზიოლოგიური მენსტრუალური ციკლი, მენსტრუალური ციკლის მოშლილობანი.)
- ოჯახის დაგეგმარება და კონტრაცეფცია
- ორსულობის დროს ქალის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებები
- ნაყოფის ფიზიოლოგია
- ნაყოფის ანტენატალური დაცვა
- მაღალი რისკის ორსულთა გამოვლენა.
- რეზუს იზო იმუნიზაცია და რეზუს კონფლიქტი
- ორსულობის თანმხლები დაავადებები; (მაქრიანი დიაბეტი და ორსულობა, ჰიპერტენზია და ორსულობა, ანემია და ორსულობა, შარდის გამომყოფი ორგანოების ინფექციები, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, გულ სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, საჭმლის მონელებელი ორგანოების დაავადებები, ც.ნ.ს.-ის დაავადებები და ორსულობა, სუნთქვის ორგანოების დაავადებები და ორსულობა, სისლის სისტემური დაავადებები და ორსულობა, ნარკოზი და ორსულობა, ალკოჰოლიზმი და ორსულობა.)
- სისხლდენები ორსულობის დროს: (პლაცენტის მდებარეობის და მიმავლების ანომალიები, პლაცენტის ნაადრევი აცლა.)
- ვადფაგადაცილებული ორსულობა
- ორსულობის დრომდე მიუტანლობა ( ორსულობის შეწყვეტა 22 კვირის ვადამდე, თვითნებითი აბორტი, ჩვეული აბორტი, სექტიური აბორტი, კრიმინალური აბორტი, დაწყებითი და დაუმთავრებელი აბორტი, ნაადრევი მშობიარობის მიმდინარეობა, მისი გართულებები და მართვა
- **მშობიარობის ფიზიოლოგია და პათოლოგია** (მშობიარობის დაწყების მექანიზმი, მშობიარობის პერიოდები და ხანგრძლივობა, მომყოლის პერიოდის მართვა, მომყოლის პერიოდის ფიზიოლოგია და პათოლოგია, ნაყოფის მდებარეობის ანომალიები, გარდიგარდმომდებარეობა, ჯდომით წინმდებარეობა, თავით წინმდებარეობის გაშლითი ვარიანტები, სამშობიარო მოქმედების ანომალიები, სამშობიარო მოქმედების პირველადი და მეორადი სისუსტე, თეტანური შეკუმშვები, სანაყოფო წყლების არადროული დაღვრა)
- მშობიარობის მართვა, პრეეკლამფსიისა და ეკლამფსიის დროს
- მშობიარობის მართვა მენჯის სხვადასხვა ფორმის პათოლოგიების დროს.
- ოპერაციული მეანობა. (საკეისრო კვეთა, სამეანო მანუვლები და ვაკუუმ ექსტრაქცია, ნაყოფის მდებარეობის მკურნალებელი ოპერაციები, ნაყოფის დამშლელი ოპერაციები, პრინეოტომია-პერინეორაფია, ეპიზოტომია ეპიზოორაფია. ნაყოფის ექსტრაქცია ჯდომით წინმდებარეობის დროს.)
- ლოგინობის ხანის ფიზიოლოგია და პათოლოგია ( ნორმალური ლოგინობის ხნა, ლოგინობის ხანის სექტიური დაავადებები—დიაგნოსტიკა-პროფილაქტიკა-მკურნალობა, ენდოკრინული დაავადებები, სისხლდენა ლოგინობის ხანაში, საშვილოსნოს ჰიპოატონია, პემორაგიული შოკი.)
- ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგია ( ეუფლო ვაგინალური დაზიანებანი, თანდაყოლილი ანომალიები, სიმსივნური წარმონაქმნები.)
- დისფუნქციონალური სისხლდენები საშვილოსნოდან.
- ამენორეა ( ეუგონადოტროპული ამენორეა, ჰიპერგონადოტროპული ამენორეა, ჰიპოგონადოტროპული ამენორეა.)
- საშვილოსნოს გარეშე ორსულობა, პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა მკურნალობა.
- ქალის მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ანთებითი დაავადებები, ეპიდემიოლოგია, ბაქტერიოლოგია პათოგენეზი, დიაგნოსტიკა მკურნალობა
- ეუფლო ვაგინიტი პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა მკურნალობა

- სქეობრივი გზით გადამდები დაავადებები ( პარაზიტული, კოკური და ვირუსული ინფექციები)
- ნეირო-ენდოკრინული გინეკოლოგიური სინდრომები ( პრედმენსტრუალური სინდრომი, კლიმაქტერული სინდრომი, პოსტკასტრაციული სინდრომი, შარდის შეუკავებლობა)
- უშვილო ქორწინება
- გესტაციური ტროფობლასტური დაავადებები (ბუშტნამქერი, ქორიონ ეპითელიომა)
- ენდომეტრიოზი
- საშვილოსნოს კეთილთვისებიანი სიმსივნეები
- სასქესო ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები (საშვილოსნოს ყელის კიბო, ენდომეტრიუმის კიბო, საკვერცხეების ავთვისებიანი სიმსივნეები, საშოს და გარეთა სასქესო ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები)
- სარძევე ჯირკვლები (მასტოდინია, მასტოპათია, ჰიპოგალაქტია, ლაქტაციური მასტიტი, კიბო.)

**ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეეძლოს ექიმ – მებან-ბინეპოლოგს**

- კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევები: (სისხლისა და შარდის საერთო ანალიზი, სისხლის ბიოქიმიური ანალიზი, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის შედეგები და სხვ.)
- ულტრასონოგრაფიული გამოკვლევები
- ნაყოფის სისხლის მიმოქცევის დოპლეროგრაფიული შეფასება
- ამნიოცენტეზი
- ნაყოფის ბიოფიზიკური პროფილი (გარეგანი ელექტრო კარდიოგრამა, ელექტრო ენცეფალოგრამა, პირდაპირი ელექტრო კარდიოგრაფია.)
- სასქესო ორგანოების ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები
- კოაგულოგრამა
- ჰისტეროსკოპია
- დიაგნოსტიკური ლაპაროსკოპია
- საშვილოსნოს ღრუს დიაგნოსტიკური გაოფხეკა
- ფერტილოსკოპია
- მცირე მენჯის ღრუს კომპიუტერული ტომოგრაფია
- მამოგრაფია და სარძევე ჯირკვლების ულტრაბგერითი კვლევა.

**ექიმ-სპეციალისტ მებან-ბინეპოლოგის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები**

- საშვილოსნოს ღრუს დიაგნოსტიკური და სამკურნალო გამოფხეკა
- დიაგნოსტიკური და ოპერაციული ჰისტეროსკოპია
- მცირე მენჯის ორგანოების ულტრასონოგრაფიული გამოკვლევა
- დიაგნოსტიკური ლაპაროსკოპია
- ნაყოფის კარდიოტოკოგრაფია
- სასქესო ორგანოებიდან ნაცხისა და ნათესის აღება
- ამნიოცენტეზი
- კოლპოსკოპია

- ჰისტერო სალპინგოგრაფია
- საშოს უკანა თალიდან მუცლის ღრუს პუნქცია
- სამეანო და გინეკოლოგიური ოპერაციები (საკეისრო კვეთა, სამეანო მაშები, ვაკუუმ ექსტრაქცია, ნაყოფის დამშლელი ოპერაციები, მღებარეობის მაკორევირებელი ოპერაციები, შორისის მთლიანობის აღდგენა, რბილი სამშობიარო გზების მთლიანობის აღდგენა, საშოს პლასტიკური ოპერაციები, შარდის შეუკავებლობის კორექცია, ოპერაციები მენჯის ფსკერის პათოლოგიების დროს, ოპერაციები საშვილოსნოს დანამატებზე, კონსერვატიული მიომექტომია, საშვილოსნოს ს/ვ ამპუტაცია, საშვილოსნოს ექსტირპაცია დანამატებით. საშვილოსნოს გაფართოვებული ექსტირპაცია.)

**3.პროფესიული მზადების სტრუქტურა**

პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული იქნება როგორც თეორიული (ლექციები) ასევე პრაქტიკული სწავლების მეთოდები.

პროგრამის თითოეულ როტაციასა და სასწავლო-კლინიკურ მოდულში დაბალანსებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული საქმიანობა. რეზიდენტურის პროგრამა მოიცავს რეზიდენტის:

**თეორიულ მზადებას** – ლექციებს, სემინარულ მეცადინეობებს, სპეციალური ლიტერატურის დამუშავებას, რეფერირებას, წყაროთა ნუსხის შედგენას, კვლევით მუშაობას, რეფერატული ხასიათის მოხსენების მომზადებას, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობას. თეორიული მომზადება ხორციელდება საქმიანობიდან მოუწყვეტლივ. თვითმომზადების მიზნით კვირაში ერთი დღე სემინარული მეცადინეობის ან “ბიბლიოთეკის” დღეა.

**პრაქტიკულ საქმიანობას** - ავადმყოფთა კურაციას, შემოვლებში, კლინიკურ გარჩევებში, კლინიკურ კონფერენციებში მონაწილეობას, პოლიკლინიკის და სტაციონარის სხვადასხვა განყოფილებაში, კაბინეტებში, სამანიპულაციოებში მუშაობას, მორიგეობას და სხვ. რეზიდენტურის ხანგრძლივობა მეანობა გინეკოლოგიაში შეადგენს 4 წელს, რომელიც გატარებული უნდა იყოს მეანობისა და გინეკოლოგიის განყოფილებებში. პროგრამაში გათვალისწინებულია მომიჯნავე დარგების ბაზისური საკითხების შესწავლა – რადიოლოგიური კვლევები, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გინეკოლოგიური ონკოლოგია, პერინატოლოგია, უროგინეკოლოგია, სარძევე ჯირკვლის პათოლოგია. თუ რეზიდენტს სურვილი აქვს დახელოვნდეს ამ მომიჯნავე დარგებში, მას რეზიდენტურის დამთავრების შემდეგ შეუძლია ამის გაკეთება ფელოუშიპის სახით. სუბსპეციალისტები განისაზღვრებიან, როგორც მეან-გინეკოლოგები, რომლებმაც გაიარეს რა შესაბამისი ტრენინგი, გააჩნიათ განსაკუთრებული გამოცდილება სათანადო სფეროში და რომლებიც სამუშაო დროის მინიმუმ ნახევარს ან უფრო მეტს უთმობენ ამ სფეროში მოღვაწეობას

**4. სარეზიდენტო პროგრამის შინაარსი**

პროფესიული მზადების I წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1.	ანტენატალური მეთვალყურეობა	4 თვე
1.2	ბაზისური ულტრაბგერითი კვლევა მეანობა-გინეკოლოგიაში	2 თვე
1.3	ექსტრაგენიტალური დაავადებები ორსულობისას	5 თვე
პროფესიული მზადების II წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1.	ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მეანობა	9 თვე
2.2	მშობიარობის შემდგომი მეთვალყურეობა და	2 თვე

	ლოგინობის ხანა	
<b>პროფესიული მზადების III წელი</b>		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
3.1.	კონსერვატიული და ქირურგიული გინეკოლოგია	11 თვე
<b>პროფესიული მზადების IV წელი</b>		
4.1.	პოსტოპერაციული მეთვალყურეობა	1 თვე
4.2.	მენჯის ფსკერის პრობლემები	2 თვე
4.3.	სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა	3 თვე
4.4.	უნაყოფობა და რეპროდუქციული ტექნოლოგიები	4 თვე
4.5.	ძუძუს დაავადებები	1 თვე

**5. საბანმანათლებლო რესურსები**

რეზიდენტურაში პროფესიული მზადება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში აკრედიტებული სარეზიდენტო პროგრამით.

რეზიდენტურის პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს სასწავლო/სამედიცინო დაწესებულებებში, რომელთაც მიღებული აქვთ აკრედიტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულზე პასუხისმგებელი პირები უნდა იყვნენ შესაფერისად მომზადებულები, რათა მიადწიონ პროგრამაში დასახულ სასწავლო მიზნებს. სევე, ისინი პასუხისმგებლები არიან პროგრამის ზოგადი ადმინისტრაციული ორგანიზების საკითხში, რეზიდენტთა მიღების, სელექციის, ინსტრუქტაჟის, ზედამხედველობის, შეფასების და აკრედიტებული პროგრამის დოკუმენტაციის შედგენაში.

**პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია**

პროგრამ-ხელმძღვანელი უნდა იყოს გამოცდილი და კვალიფიცირებული როგორც კლინიციისტი, ადმინისტრატორი და პედაგოგი მეანობასა და გინეკოლოგიაში, მას ასევე უნდა გააჩნდეს შესაბამისი გამოცდილება მოცემულ საქმიანობაში.

პროგრამ-ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი ავტორიტეტი, რათა აწარმოოს ზედამხედველობა სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე. მისი პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგ დებულებებს (მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ დებულებებით):

რეზიდენტებთან გასაუბრება და მათი განაწილება;

ზედამხედველობა სასწავლო პროცესზე;

პედაგოგიური პერსონალის და რეზიდენტურის პროგრამის შეფასება.

**პედაგოგიური პერსონალი - მოდულზე პასუხისმგებელი პირები /ლოკალური ხელმძღვანელები**

1. სასწავლო პროგრამა მეანობასა და გინეკოლოგიაში მოითხოვს მონაწილე პერსონალის საჭირო რაოდენობას, რომელთაც გააჩნიათ პროფესიული შესაძლებლობები, ენთუზიაზმი, აღმზრდელობითი უნარ-ჩვევები და პასუხისმგებლობის გრძნობა. პედაგოგიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს გამოყოფილი სათანადო დრო პედაგოგიური საქმიანობისათვის. პედაგოგიური პერსონალის სწავლისა და ზედამხედველობის ხარისხი პროგრამ-ხელმძღვანელის მიერ მინიმუმ წელიწადში ერთხელ უნდა შეფასდეს; თუ აღმოჩნდება ნაკლოვანებები, უნდა მოხდეს მათი გამოსწორება. ამ პროცესის ერთ-ერთი ნაწილი უნდა გახდეს რეზიდენტების მიერ რეგულარული, დაცული და ანონიმური შეფასება.

2. პედაგოგიური პერსონალი უნდა დაინტერესებული იყოს რეზიდენტების სწავლა-განათლებით, მათ უნდა გამოავლინონ კლინიკური და პედაგოგიური შესაძლებლობები, რათა ხელი შეუწყონ პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

3. პედაგოგიურმა პერსონალმა უნდა გაითავისოს პასუხისმგებლობა და ჰქონდეს პროგრამ-ხელმძღვანელთან მუდმივი კავშირი.

4. პედაგოგიური პერსონალი კარგად უნდა იყოს ორგანიზებული და მოაწყოს ლოკუმენტირებული შეხვედრები პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განხილვის და პროგრამის ეფექტურობის შეფასების მიზნით. ამ შეხვედრებში უნდა მონაწილეობდეს როგორც მინიმუმ რეზიდენტების ერთი წარმომადგენელი.

5. მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეფასდეს პედაგოგიური პერსონალის საქმიანობა და რეზიდენტების ზედამხედველობის ხარისხი.

პროგრამა უნდა იყოს უზრუნველყოფილი დამატებითი პროფესიული, ტექნიკური პერსონალით, რომელიც საჭიროა ადმინისტრაციის მხარდასაჭერად და პროგრამის საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისათვის. რეზიდენტურის კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი მოწმობა.

## 6. ხარისხის უზრუნველყოფის მემანიჟმენტი

რეზიდენტურის პროგრამის ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს რეზიდენტის საქმიანობა.

აუცილებელია პროგრამის გადახედვის მიზნით ყოველი რეზიდენტის წლიური გამოცდილების შეფასების ლოკუმენტირება. ლოკუმენტაციაში უნდა იყოს აღნიშნული, თუ რა დონეზე მონაწილეობს რეზიდენტი კლინიკურ საქმიანობაში და მის მიერ გამოქვეყნებული უნარ-ჩვევების ხარისხი. დაგროვილი მონაცემები შემდგომში გამოყენებული იქნება პროგრამის გადახედვის მიზნით.

ყოველწლიურად პროგრამ-ხელმძღვანელმა უნდა შეაგროვოს და შეაჯამოს რეზიდენტების მიერ ჩატარებული ოპერაციული პროცედურების რაოდენობა და ტიპები, ინფორმაცია უნდა იყოს ფორმატირებული და მოხდეს მისი სპეციფიკაცია პროგრამ ხელმძღვანელის მიერ.

პროგრამის ხარისხის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს პროგრამის დამთავრების შემდეგ მასში მონაწილე რეზიდენტთა მიერ სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე მიღებული შედეგები.

## 7. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი, 44 თვე.

## II. პროგრამის ზოგადი ნაწილი

### პროგრამის მზადების I ფლის მოდულები

მოდული 1.1. - ანტენეტალური მეთვალყურეობა - 4 თვე

მოდული 1.2. - ბაზისური ულტრაბგერითი მეთვალყურეობა მეანობა-გინეკოლოგიაში - 2 თვე

მოდული 1.3. - ექსტრაგენიტალური დაავადებები ორსულობისას - 5 თვე

მოდული 1.1 – ანტენეტალური მეთვალყურეობა - 4 თვე

#### 1. მიზანი:

დაგეგმილი ვიზიტების წარმართვა;  
მიმდინარე ვიზიტების წარმართვა;  
ულტრაბგერითი გამოკვლევების გამოყენება;  
ანომალიების სკრინინგი;  
განათლება ჯანდაცვის სფეროში;  
ჯანდაცვის პროფესიონალებს შორის კავშირი;  
ოჯახური ძალადობის გამოვლენა.

2. ლიტერატურის ნუსხა

1. მეანობა--გ. ბოლიაშინა; ვ. სეროვი რედაქტირებული ქართულ ენაზე პ.კინტრაია 2002წ. გამომცემლობა მთაწმინდელი
2. მეანობა---- ათი მასწავლებლისგან სტიუარტ კემპბელის და კრისტოფა ლიხას რედაქციით. 2005წ.
3. გინეკოლოგია--ლ. ვასილევსკაიას რედაქციით. 2000წ
4. მეანობა და გინეკოლოგია-ვილიამსი ვ. ბეკი (რუსულ ენაზე) საველევას და სიჭინავას რედაქციით 1998
5. Medical Complications During Pregnancy--n. Burrow, P. Duffy, A.Copel--6th Edittion
6. William’s Obstetrics, 22 th ed, Cunningham et all, 2005
7. [www.mdconsult.net](http://www.mdconsult.net)
8. [www.emedicine.com](http://www.emedicine.com)
9. [www.rcog.org.uk](http://www.rcog.org.uk)
10. [www.acog.org](http://www.acog.org)
- 11.
3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1.1-ის სახით).  
ცხრილი № 1.1.

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
ანტენატალური მეთვალყურეობის მიზნები და მეთოდები	<p>ორსულის და არაორსულის აბდომინალური გამოკვლევა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ სამეანო ანამნეზის შეკრება და ოჯახური ძალადობის შემთხვევაში შესაბამისი რეფერალის წარმოება</li> <li>▪ დაგეგმილი ვიზიტების წარმართვა</li> <li>▪ მიმდინარე ვიზიტების წარმართვა</li> <li>▪ შესაბამისი გამოკვლევების განხორციელება</li> <li>▪ მართვა: ზრდის შეფერხება, საკეისრო კვეთის შემდგომი მშობიარობის გზის შეფასება, მრავალნაყოფიანი ორსულობა, სისხლდენა ორსულობის პერიოდში, ნაყოფის არასწორი მდებარეობები, სანაყოფე სითხის ნაადრევი დაღვრა, ნაყოფის მოძრაობის შემცირება, ნარკოტიკების და ალკოჰოლის ზემოქმედება ორსულებში.</li> <li>▪ გამოკვლევა: ნაყოფის გარეგანი მობრუნება, ცერვიკალური სერკლიაჟი.</li> </ul>	<p>40</p> <p>80</p> <p>60</p> <p>60</p> <p>30</p> <p>5</p> <p>5</p>	<p>რეზიდენტის მიერ მოდულის ათვისების ხარისხი ფასდება</p> <p><b>მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ გატარებული პაციენტების, ჩატარებული დიაგნოსტიკური პროცედურების, დაწერილი და შესრულებული სამედიცინო დოკუმენტაციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.</b></p> <p>მოდულის შეფასება ხდება 4 ჯერ, თითოეული ამოცანის შესრულების შემდეგ (იხ. მოდულის ამოცანები.) და წერილობითი ფორმით ვეზავენება პროგრამ ხელმძღვანელს.</p>



	<p>▪ <b>განხილვა:</b> დაუნის სინდრომის სკრინინგი, გენეტიკური დაავადებები, ნაყოფის განვითარების მანკები, ჰემოლიზური დაავადებები, ინფექციები, მშობიარობის გზები.</p>	10	
--	--	----	--

**დანართი. ცოდნის კრიტერიუმების დეტალები**

**ვადაგადაცვილებული ორსულობა:**

- რისკები
- ნაყოფის მონიტორინგი
- მშობიარობა(მეთოდები,ჩვენებები)

**ანტენატალური მეთვალყურეობის მიზნები და მეთოდები:**

- დაგეგმილი ვიზიტების წარმართვა
- მიმდინარე ვიზიტების წარმართვა
- ულტრაბგერითი გამოკვლევების გამოყენება
- ანომალიების სკრინინგი
- განათლება ჯანდაცვის სფეროში
- ჯანდაცვის პროფესიონალებს შორის კავშირი
- ოჯახური ძალადობის გამოვლენა

**ფიზიოლოგია და ფიზიოლოგიის მართვა:**

- ორსულობა
- მშობიარობა, მათ შორის მშობიარობა არასანედიცინო პერსონალის მიერ
- მშობიარობის შემდგომი პერიოდი, მათ შორის ლაქტაციის პერიოდი
- ახალშობილი, მათ შორის ძუძუთი კვება

**პლაცენტა:**

- ანომალური(ფორმა,ზომა,იმპლანტაცია)
- ქორიონამნიონიტი
- ინფექცია
- ქორიონანგიომა
- მრავალნაყოფიანი ორსულობა
- ნაყოფის ზრდის შეფასება
- ჰიპლარის ანომალიები
- ტროფობლასტური დაავადებები

**იმუნოლოგია:**

- ორსულობის იმუნოლოგიური ტესტები
- რეზუს იზომუნინიზაცია
- ავტოიმუნური დაავადებები

**სანაყოფე სითხის ნაადრევი დაღვრა:**

- ნაყოფის ფილტვების მომწიფება
- თერაპია(სტეროიდები,ანტიბიოტიკები,ტოკოლიტიკები)
- ინფექცია(რიკია,მართვა)
- მშობიარობა(მშობიარობის ინდუქცია,დროის განსაზღვრა,მეთოდები)

**ჰემორაგია:**

- პლაცენტის აცლა
- პლაცენტის წინამდებარეობა
- ჰიპლარის წინამდებარეობა
- სისძარღვის წინამდებარეობა
- პლაცენტის შეხორცება
- ტრამვა

**მრავალნაყოფიანი ორსულობა:**

- ზიგოტურობა
- დამხმარე რეპროდუქციური ტექნოლოგიების ზეგავლენა
- პლაცენტაცია
- დიაგნოზი
- მართვა(ანტენატალური,ინტრანატალური,პოსტნატალური)
- სპეციალური პროცედურები(პრენატალური დიაგნოზები,მონიტორინგი)

- ძუძუთი კვება
- მაღალი რისკი მრავალნაყოფიან ორსულებში(კონსულტაცია,ერთობრივი ზრუნვა)

**ნაყოფის არასწორი მდებარეობები:**

- მდებარეობები(ჯდომით,შუბლით,სახით,მხრით,ცვალებადი მდებარეობები)
- დიაგნოზი
- მართვა(ანტრენატალური,ინტრანატალური)
- მშობიარობის ფორმა

**ნაყოფის ზრდის შეფერხება:**

- ეტიოლოგია(დედის,ნაყოფის,პლაცენტის)
- დიაგნოზი(კლინიკური,ბიოქიმიური,გენეტიკური,ულტრაბგერითი გამოკვლევა)
- მონიტორინგი(ულტრაბგერა,კარდიოტოკოგრამა)
- მშობიარობა(მეთოდები,დროის განსაზღვრა)
- პროგნოზი(ნაყოფის,ახალშობილის)

**გენეტიკა:**

- მემკვიდრეობითი ფორმები(მულტიფაქტორული,მენდელის)
- ციტოგენეტიკა
- ანეუპლოიდიის ფენოტიპური გამოვლინება(დაუნის სინდრომი, ედვარდის სინდრომი,პატაუს,ტერნერის,კლაინფელტერის)
- ტრანსლოკაცია
- აბორტი
- მოლეკულური გენეტიკა (დნმ ტრანსკრიფცია, დნმ ტრანსლოკაცია, დნმ ბლოტინგის ტექნოლოგია, გენის ამბლიპიკაციის ტექნოლოგია)
- კონსულტაცია(ისტორიის გახსნა,გენეალოგიური ანალიზები)
- მოსახლეობის სკრინინგი (გენეტიკური დაავადებები, განვითარების თანდაყოლილი მანკები)
- ანტენატალური დიაგნოზი (ქრომოსომული ანომალიები, თანდაყოლილი მეტაბოლური დარღვევები, ნერვული მილის დეფექტები,სხვა სტრუქტურული ანომალიები) მართვა: რეფერალი სპეციალისტთა გუნდისთვის, ანტენატალური ჩარევა, მშობიარობა, ახალშობილის გამოკვლევა, ნეონატალური მეთვალყურეობა (კონსერვატიული,ქირურგიული)

**ეპიდემიოლოგია, ეტიოლოგია,პათოგენეზი, დიაგნოზი, პროფილაქტიკა, მართვა, მშობიარობა, გართულება, პროგნოზი შემდეგ დაავადებებში:**

**ორსულობა-გართულებული პიპერტენზიით:**

- დეფინიცია
- ეტიოლოგია
- პროფილაქტიკა
- სიმძიმის შეფასება
- კონსულტაცია
- თერაპია
- მშობიარობა(დროის განსაზღვრა,მეთოდები)
- გართულებები(ეკლამფსია,თირკმლისდაავადებები, ჰემორაგია,ჰეპატიტები,)

**პიპერტენზიით გამოწვეული დარღვევები:**

- პიპოვოლემია,სეფსისი
- ნეიროგენური შოკი,კარდიოგენური შოკი
- ანაფილაქსია,ტრამვა
- ამნიონალური სითის ემბოლია

- თრომბოემბოლია, საშოს ინფერსია
- ნაყოფის კემოლიზი:**
- ანტიგენ-ანტისხეულის სისტემები
- პროფილაქტიკა, ნაყოფის პათოლოგია
- დიაგნოზი, სიმძიმის შეფასება
- საშვილისნოს შიდა ტრანსფუზია (ჩვენება, მეთოდები, რეფერალი)
- მშობიარობა (დროის განსაზღვრა, მეთოდები)
- კონსულტაცია

**მოდული 1.2 - ბაზისური ულტრაბგერითი მეთვალყურეობა მეანობა-გინეკოლოგიაში - 2 თვე**

**1. მიზანი**

მცირე მენჯის ღრუს ორგანოთა ულტრაბგერითი კვლევის, მისი ტექნიკის, თეორიული საფუძვლების, გამოსახულების ინტერპრეტაციის პრინციპების, ულტრაბგერითი დოფერენციალური დიაგნოსტიკის საფუძვლების დაუფლება. დამოუკიდებლად ჩაატაროს მცირე მენჯის ღრუს ორგანოთა ულტრაბგერითი კვლევა, მოახდინოს მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია და დასვას ულტრაბგერითი დიაგნოზი, შეაჯეროს მიღებული მონაცემები და სხვა კლინიკური და პარაკლინიკური კვლევების მონაცემებთან და მიღებული შედეგების საფუძველზე განსაზღვროს ავადმყოფის მკურნალობისა და მართვის შემდგომი ტაქტიკა; ამას გარდა, წარმოდგენა ჰქონდეს ულტრაბგერის ფიზიკურ პრინციპებზე, მცირე მენჯის ღრუს ორგანოთა დაავადებათა ულტრაბგერით სემიოტიკაზე

**2. ლიტერატურის ნუსხა**

1. Клиническое руководство по ультразвуковой диагностике том 2- 36 Митков.В.В
2. Применение ультразвука в медицине.Физичесосновы.Хил.К
3. ДифФеренциальная УЗИ диагностика в гинекологий.Медведев М.В.К
4. Ultrasound in Obstetrics and Gynecology E.Merz
5. Diagnostic Ultrasound v.2 C.Rumack.St.Wilson
6. Ultrasound in Obstetrics and Gynecology W.Wladimiroff.Sturla H Eik-Nes
7. Doppler Ultrasound in Obstetrics and Gynecology - Dev Maulik
8. Cancer of the Ovary - Rodney Reznek
9. Radiologic Clinics Of North America Women’s Imaging An Oncologic Focus 2002 Vol.40 Issues 3
12. Obstetric\_Ultrasound\_\_How\_\_Why\_and\_When\_\_T\_Chudleigh\_\_B\_Thilaganathan\_\_2005\_\_0443054711
13. მეანობა--- ათი მასწავლებლისგან სტიუარტ კემპბელის და კრისტოფა ლიზას რედაქციით. 2005წ.
14. გინეკოლოგია--ლ. ვასილევსკაიას რედაქციით. 2000წ
15. მეანობა და გინეკოლოგია-ვილიამსი ვ. ბეკი (რუსულ ენაზე) საველევას და სიჭინავას რედაქციით 1998
16. Medical Complications During Pregnancy--n. Burrow, P. Duffy, A.Copel--6th Edittion
17. William’s Obstetrics, 22 th ed, Cunningham et all, 2005
18. [www.mdconsult.net](http://www.mdconsult.net)
19. [www.emedicine.com](http://www.emedicine.com)
20. [www.rcog.org.uk](http://www.rcog.org.uk)
21. [www.acog.org](http://www.acog.org)

3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები (მოცემულია ცხრილი № 1.2-ის სახით).  
ცხრილი № 1.2.

ბაზისური ულტრაბგერითი კვლევა მეანობა-გინეკოლოგიაში

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<p>სამეანო ულტრაბგერითი კვლევის პრინციპები</p> <p>გინეკოლოგიური ულტრაბგერითი კვლევის პრინციპები</p> <p>▪ საშვილოსნოს ტანის და ყელის ნორმალური ულტრაბგერითი ანატომია</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნაყოფის მდგომარეობის შეფასება CTG და ულტრაბგერითი გამოკვლევის გამოყენებით.</li> <li>• ტრანსვაგინალურად ემბრიონის მდგომარეობის შეფასება</li> <li>14 კვირის ორსულობის შემდეგ</li> <li>• ნაყოფის თავის, გულმკერდის, მუცლის მდებარეობის დადგენა,</li> <li>• ნაყოფის წინამდებარე ნაწილის და სახის დადგენა.</li> <li>• პლაცენტის მდებარეობის დაგენა.</li> <li>• სანაყოფე სითხის მოცულობის შეფასება</li> </ul> <p>▪ გაზომვები და ნორმატიული მაჩვენებლები, გაზომვების ტექნიკა</p> <p>▪ საშვილოსნოს ტანის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი დაზიანებების ულტრაბგერითი ექოსემიოტიკა(საშვილოსნოს ტანის მიომა, ადენომიოზი, ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზია, პოლიპი, ენდომეტრიუმის კარცინომა, საშვილოსნოს სარკომა), კვლევის ტექნიკა და სონოგრამის შეფასება</p> <p>▪ ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის როლი საშვილოსნოს ყელის პათოლოგიის კვლევაში, კვლევის ტექნიკა და სონოგრამის შეფასება</p>	<p>40</p> <p>10</p> <p>20</p> <p>30</p> <p>30</p> <p>30</p> <p>30</p> <p>30</p> <p>20</p> <p>20</p>	<p>რეზიდენტის შეფასება ხდება მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ. ფასდება: ულტრაბგერითი გამოკვლევისას პათოლოგიური ნიშნების შემთხვევაში, სათანადო რეფერალური გზისა და პროტოკოლის გამოყენების უნარის ჩვენება.</p> <p>გამოყენებული იქნება სწავლების და შეფასების შემდგომი მეთოდები/ ფორმები:სალექციო (თეორიული) სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი მუშაობა პაციენტთან მოდულზე პასუხისმგებელი პირის მეთვალყურეობის ქვეშ, საინტერესო კლინიკური შემთხვევების გარჩევა, თემატური რეფერატების მომზადება. ცოდნის შეფასება მოხდება: გამოკითხვისა და კონკრეტული კლინიკური შემთხვევების მეშვეობით.</p>

<p>▪ საკვერცხეების ნორმალური ულტრაბგერითი ანატომია გაზომვები და ნორმატიული მაჩვენებლები</p>	<p>▪საკვერცხეების კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი დაზიანებების ულტრაბგერითი ექოსემიოტიკა(საკვერცხის რეტენციული ცისტები, ენდომეტრიოზი, საკვერცხის კისტოზი, ტერატო-დერმოიდული წარმონაქმნები, საკვერცხის კიბო), კვლევის ტექნიკა და სონოგრამის შეფასება</p> <p>▪საკვერცხის ცისტის რუბტურის ან შემოგრეხვის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, კვლევის ტექნიკა და სონოგრამის შეფასება</p> <p>საშვილოსნოს გარე ორსულობის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, გაზომვების ტექნიკა</p>	<p>20</p>	<p>20</p>
---	---	-----------	-----------

**დანართი. ცოდნის კრიტერიუმები**

**ულტრაბგერითი გამოკვლევის პრინციპები:**

- ფიზიკალური
- უსაფრთხოება
- დამოკიდებულება ორგანოზომილებიან სურათსა და სამგანზომილებიან ობიექტს შორის

**თანდაყოლილი ანომალიები:**

- სკრინინგი
- ამნიონალური სითხის მოცულობის შეფასება(პოლიჰიდრამნიონი, ოლიგოჰიდრამნიონი)
- მართვა: დიაგნოზი, კონსულტაცია, სიცოცხლისუნარიანობა, მშობიარობა(დრო, ადგილი, მეთოდი)
- კონკრეტული ანომალიები:
  - თავი(ანანცეფალია, მიკროცეფალია, ანცეფალოცეფლე, ჰიდროცეფალია, ჰიდრანცეფალია, პოლო პროზენცეფალია)
  - ჩონჩხი(spina bifida, ფოკომელია, ქონდროდისპლაზია, საშვილოსნოს ამპუტაცია)
  - გული(ძირითადი დეფექტები, სხვა დეფექტები)
  - ფილტვები(ფილტვის ჰიპოპლაზია)
  - საშარდე სისტემა(თირკმლის აგენეზია, თირკმლის პოლიკისტოზი, საშარდე გზების ობსტრუქცია)
  - **სასქესო სისტემა(ჰერმაფროდიტიზმი, სასქესო გზების ანომალიები, საკვერცხის კისტა)**
  - კუჭ-ნაწლავის ტრაქტი(მუცლის კედლის დეფექტი, საყლაპავი მილის ატრეზია, დიაფრაგმის თიაქარი, ნაწლავის ობსტრუქცია)
  - სხვა(ცისტოზური ჰიდროზი)
- ნაყოფის სხვა დარღვევები:
  - ნაყოფის არაჰემოლიზური წყალმანკი
  - სიმსივნეები

- პლევრის ექსუდატი
- ნაყოფის სისხლისდენა

**სოციალური და კულტურული ფაქტორები:**

- ფაქტორები რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ორსულობაზე
- მარტოხელა მშობლები, მოზარდი მშობლები
- მშობლისა და ბავშვის ურთიერთობა (გამომწვევი ფაქტორები, ფაქტორები რომლებიც ზეგავლენას ახდენენ)
- არასრულყოფილი კონსულტაცია

**ულტრაბგერითი გამოკვლევის პრინციპები:**

- ფიზიკალური
- უსაფრთხოება
- დამოკიდებულება ორგანოზომილებიან სურათსა და სამგანზომილებიან ობიექტს შორის

**ულტრაბგერითი გამოკვლევით ნაყოფის მდგომარეობის შეფასება:**

- ნაყოფის ბიომეტრია (ორსულობის ვადა, გესტაციური ასაკი, ნაყოფის ზრდა)
- ბიოფიზიკური პროფილი
- დოპლერის გამოყენება სისხლის დინების შესაფასებლად (ნაყოფის, საშვილოსნოს)
- ორსულობის გვიან ვადაზე ულტრაბგერითი გამოკვლევის ჩვენება და უკუჩვენება
- ულტრაბგერითი გამოკვლევის ზეგავლენა ტყუპებში

**ნაყოფია ანომალიების სკანირების და არაინვაზიური დიაგნოსტიკის მეთოდები:**

- კისრის ნაოჭის სისქის განსაზღვრით დაუნის სინდრომის რისკის მქონე ნაყოფების გამოვლენა
- ექოსკოპიისა და სხვა ინვაზიური გამოკვლევების შედეგების შეჯამება, რომ განისაზღვროს რისკის ხარისხი თითოეული ქალისათვის

**ინვაზიური პრცედურები:**

- ამნიოცენტეზი
- ქორიონული ბუსუსების ბიოფსია
- პლაცენტის ბიოფსია
- კორდოცენტეზი

**ნაყოფის პოზიციის და გულისცემის განსაზღვრა ორსულობის მოგვიანებით ვადებზე და სამგანზომილებიანი სურათის წრმოდგენა:**

- ნაყოფის აღმოჩენა
- ნაყოფის მდებარეობის დადგენა
- გულის მოსასმენი ადგილის ცოდნა
- ნაყოფის გულისცემის განსაზღვრა (14 კვირამდე ჩატარებული ტრანსვაგინალური გამოკვლევებით)
- დედისათვის ნაყოფის გულისცემის მოსმენა

**საშვილოსნოში ნაყოფის მდებარეობის განსაზღვრა ორსულობის მეორე და მესამე ტრიმესტრში:**

- ნაყოფის პოზიციის და მდებარეობის დადგენა
- ნაყოფის თავის გარჩევა
- ნაყოფის გულმკერდის გარჩევა
- ნაყოფის მუცლის გარჩევა
- ნაყოფის ზურგის გარჩევა
- ნაყოფის კიდურების გარჩევა
- საუკეთესო პოზიციის შერჩევა, მუცლის გარშემოწერილობის განსაზღვრისათვის
- ნაყოფის ძირითადი ზომების დადგენა (თავის ბიპარიეტული ზომა, მუცლის გარშემოწერილობა, ბარძაყის სისქე, ნაყოფის სავარაუდო წონის დადგენა)

**პლაცენტის მდებარეობის დადგენა ორსულობის მესამე ტრიმესტრში:**

- აღმოაჩინო პლაცენტა
- აღწერო მისი თავისებურებები:
- ქსოვილის სტრუქტურა
- ექოგენური ჩრდილები
- ქორიონის შრე
- ექოგენურობა
- განსაზღვრო შესაძლებლობების ზღვარი

▪ მისი კავშირი მეზობელ ორგანოებთან, მაგალითად შარდის ბუშტი და საშვილოსნოს ყელი

**მცირე მენჯის ღრუს ორგანოების დაავადებათა სკრინინგული ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა გინეკოლოგიურ პრაქტიკაში**

▪ მცირე მენჯის ღრუს ორგანოთა ულტრაბგერითი კვლევა-საშვილოსნოს ტანი, ყელი-ნორმალური სონო-ანატომია, გაზომვები და ნორმალური მაჩვენებლები, საშვილოსნოს ტანის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი დაავადებების ულტრაბგერითი ექოსემიოტიკა(საშვილოსნოს ტანის მიომა, ადენომიოზი, ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზია, პოლიპი, ენდომეტრიუმის კარცინომა, საშვილოსნოს სარცომა), ულტრაბგერის როლი საშვილოსნოს ყელის პათოლოგიის კვლევაში

▪ მცირე მენჯის ღრუს ორგანოების ულტრაბგერითი კვლევა- საკვერცხეების ნორმალური სონოანატომია, გაზომვები და ნორმალური მაჩვენებლები, საკვერცხეების კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი დაავადებების ულტრაბგერითი ექოსემიოტიკა(საკვერცხის რეტენციული ცისტები, ენდომეტრიომა, საკვერცხის კისტომა, ტერატო-დერმოიდული წარმონაქმნები, საკვერცხის კიბო)

▪ ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა მცირე მენჯის ღრუს მწვავე ტკივილის დიაგნოსტიკაში-მწვავედ განვითარებული მენჯისმიერი ტკივილის დროს მცირე მენჯის ღრუს ორგანოთა მდგომარეობის შეფასება-საშვილოსნოს გარე ორსულობის, ცისტის რუპტურის ან შემოგრების სონოგრაფიული ექოსემიოტიკა

**მოდული 1.3. – ექსტრაგენიტალური დაავადებები ორსულობისას – 5 თვე**

1. მოდულის მიზანი - რეზიდენტის მიერ ორსულობის თანმდევი ექსტრაგენიტალური პათოლოგიების დიაგნოსტიკებისა და მართვის თანამედროვე პრინციპების შესწავლა

**2. ლიტერატურის ნუსხა –**

1. მეანობა--ვ. ბოლიაჟინა; ვ. სეროვი რედაქტირებული ქართულ ენაზე პ.კინტრია 2002წ. გამომცემლობა მთაწმინდელი
2. მეანობა---- ათი მასწავლებლისგან სტიუარტ კემპბელის და კრისტოფა ლიზას რედაქციით. 2005წ.
3. გინეკოლოგია--ლ. ვასილევსკაიას რედაქციით. 2000წ
4. მეანობა და გინეკოლოგია-ვილიამსი ვ. ბუკი (რუსულ ენაზე) საველევას და სიჭინავას რედაქციით 1998
5. Medical Complications During Pregnancy--n. Burrow, P. Duffy, A.Copel--6th Edittion
6. William’s Obstetrics, 22 th ed, Cunningham et all, 2005
7. [www.mdconsult.net](http://www.mdconsult.net)
8. [www.emedicine.com](http://www.emedicine.com)
9. [www.rcog.org.uk](http://www.rcog.org.uk)
10. [www.acog.org](http://www.acog.org)

3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 1.3-ის სახით).  
ცხრილი № 1.3.

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
შემდეგი მდგომარეობების დიაგნოსტიკა, გამოკვლევა და მართვა • ორსულობით	შეძლოს ნორმისა და პათოლოგიის გამიჯვნა • ჰქონდეს დიფ.		რეზიდენტის მიერ მოდულის ათვისების ხარისხი ფასდება მოდულზე

<p>გამოწვეული პიპერტენზია;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თრომბოემბოლია;</li> <li>• გლუკოზისადმი ტოლერანტულობა;</li> <li>• ინსულინ-დამოკიდებული დიაბეტი;</li> <li>• ესენციური პიპერტენზია;</li> <li>• თირკმლების დაავადება;</li> <li>• ღვიძლის დაავადებები;</li> <li>• დედის ჰემოგლობინოპათია;</li> <li>• კოაგულაციური დარღვევები;</li> <li>• მუცლის მწვავე ტკივილი;</li> <li>• ასთმა</li> <li>• შარდის ბუშტის ანთება;</li> <li>• ფსიქლოგიური დარღვევები;</li> <li>• ეპილეფსია;</li> <li>• ენდოკრინოპათიები</li> </ul>	<p>დიაგნოსტიკის უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჰქონდეს შესაფერისი გამოკვლევების დაგეგმვის უნარი, რათა დაადასტუროს დიფ. დიაგნოზი;</li> <li>• ჩამოაყალიბოს მართვის გეგმა;</li> <li>• განახორციელოს მართვის გეგმა და საჭიროებისას შეცვლოს ის.</li> <li>• ჰქონდეს სხვა დისციპლინის კოლეგებთან ეფექტური თანამშრომლობის უნარი.</li> </ul>		<p>პასუხისმგებელი პირის მიერ კონსულტირებული პაციენტების რაოდენობის, დაწერილი და შესრულებული სამედიცინო დოკუმენტაციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ფასდება შემდეგი უნარები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჰქონდეს უნარი, გააარჩოს ნორმალური პათოლოგიურისაგან.</li> <li>• ჰქონდეს უნარი, შექმნას პაციენტის მართვის გეგმა და გარდაქმნას, თუ აუცილებელია.</li> </ul>
--	--	--	--

**ცოდნის კრიტერიუმები**

ეპიდემიოლოგია, ეტიოლოგია, პათოგენეზი, დიაგნოზი, პროფილაქტიკა, მართვა, მშობიარობა, გართულება, პროგნოზი შემდეგ დაავადებებში: პიპერტენზია:

- განსაზღვრება
- ეტიოლოგია
- ორგანოების ჩართვა პროცესში (დედა, ნაყოფი)
- დიაგნოზი;
- მკურნალობა

**თირკმლის დაავადება:**

- შარდგამომყოფი სისტემის ინფექცია
- პიელონეფრიტი;
- გლომერულონეფრიტი;
- ნეფროზული სინდრომი;
- ტუბულარული ნეკროზი;
- კორტიკალური ნეკროზი;
- ტრანსპლანტაცია

**ფილტვის დაავადება:**

- ასთმა;
- ინფექცია;
- ემბოლია;
- ასპირაციული სინდრომი

**ნევროლოგიური პათოლოგია:**

- ეპილეფსია;
- ცერებროვასკულარული დაავადება;
- სკლეროზი;
- თავის ტკივილი;
- ნეიროპათია;
- მიასთენია;
- პარაპლეგია



**ძვლებსა და სახსრების პათოლოგია:**

- ზურგის ტკივილი;
- სიმფიზიტი;
- ძვლების მეტაბოლური პათოლოგია;
- ნეოპლაზმები (კეთილ- და ავთვისებიანი)
- გენიტალური ტრაქტი;
- სარძევე ჯირკვლები;
- სხვა

**ფსიქიატრიული პათოლოგია:**

- მანიაკალურ-დეპრესიული სინდრომი;
- ფსიქონევროზი;
- ლოგინიბის ხანის დარღვევები (დეპრესია)
- ხასიათის დარღვევები;
- შიზოფრენია;
- რეაქცია ორსულობის შეწყვეტაზე.

**გასტროინტესტინალური პათოლოგია:**

- გულისრევა;
- ღებინება;
- პიპერმეზისი;
- რეფლუქსი;
- მუცლის ტკივილი;
- აპენდიციტი;
- ქოლეცისტიტი.
- გაუვალობა

**გულის პათოლოგია:**

- თანდაყოლილი;
- რემტიული;
- იშემიური;
- კარდიომიოპათია;
- გულის უკმარისობა.

**ღვიძლის დაავადებები:**

- ქოლესტაზი;
- ჰეპატიტი;
- ცხიმოვანი დეგენერაცია.

**სისხლისმომოქცევის დარღვევა:**

- ანემია;
- თალასემია;
- კოაგულაციური პათოლოგია;
- თრომბოციტოპენია;
- თრომბოციტოპენია;
- ტრანსფუზია;
- ვარიკოზი(წვივების, ვულვის, ბუასილი)

**შემაერთებული ქსოვილის დაავადება:**

- სისტემური წითელი მგლურა;
- რევმატული ართრიტი;
- იმუნოსუპრესიული პრეპარატები.

**გლუკოზის მეტაბოლიზმის დარღვევა:**

- დიაგნოსტიკა;
- ტიპი I და ტიპი II დიაბეტი;
- გავლენა (დედაზე, ნაყოფზე, ახალშობილზე)
- კეტოაციდოზი;
- დიეტა;
- წამლები (ინსულინი, ორალური ჰიპოგლიკემიური პრეპარატები და ორსულობა)

**სხვა ენდოკრინოპათიები:**

- ფარისებრი ჯირკვალი (დიაგნოსტიკა, შეფასება, ანტისეპტები, თერაპია, გავლენა ნაყოფზე);
- თირკმელზედა ჯირკვალი (ადისონის დაავადება, მწვავე უკმარისობა, თანდაყოლილი ჰიპერპლაზია, ფოქრომოციტომა)
- ჰიპოფიზი (პროლაქტინომა, ჰიპოპიტუიტარიზმი, უშაქრო დიაბეტი)

**ინფექციური დაავადებები:**

- ცხელების მიზეზის გამოკვლევა;
- სეროლოგიური ტესტები;
- პრინციპები (პრევენციის, აღმოჩენისა და იზოლაციის)
- თერაპია (პროფილაქტიკა, იმუნიზაცია, ანტიბიოტიკები, ანტივირუსული პრეპარატები);
- დედისმხრივი (სანაყოფო წყლის ნაადრევი დაღვრა, ნაადრევი მშობიარობა, ქორიოამნიონიტი, ლოგინობის ხანის სეფსისი, მასტიტის, საშარდე ტრაქტის ინფექცია, ჭრილობის ინფექცია, სეპტიური შოკი, მალარია, სხვა ტროპიკული ინფექციები) ნაყოფი და ახალშობილი (streptococcus, gonococcus, syphilis, toxoplasma, listeria, haemophilus, chlamydia, mycoplasma, ureaplasma, herpes hominis, rubella, cytomegalovirus, varicella, hepatitis A, hepatitis B, hepatitis C, parvovirus, influenza, აიუ/შიდსი, ახალშობილთა სეფსისი) ორსულობასთან დაკავშირებული დედისმხრივი პათოლოგიები:
- მშობიარობამდელი სისხლდენა;
- ამნიონური სითხით ემბოლია;
- შიხანის სინდრომი

### III. პროგრამის სპეციფიური ნაწილი

#### პროფესიული მზადების მმ-2 წლის მოდულები

##### მოდული 2.1. - ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მეანობა - 9 თვე

**მოდულის მიზანი** - ფიზიოლოგიური და პათოლოგიური ორსულობა და მშობიარობის ძირითადი ასპექტების შესწავლა, ბაზისური ქირურგიული მანიპულაციების პრინციპების გაცნობა, მეთოდისა და ტექნიკის საკვანძო საკითხების ათვისება მეანობაში.

#### ლიტერატურის ნუსხა –

1. მეანობა--ვ. ბოდიაუინა; ვ. სეროვი რედაქტირებული ქართულ ენაზე პ.კინტრია 2002წ. გამომცემლობა მთაწმინდელი
2. მეანობა--- ათი მასწავლებლისგან სტიუარტ კემპბელის და კრისტოფა ლიზას რედაქციით. 2005წ.
3. გინეკოლოგია--ლ. ვასილევსკაიას რედაქციით. 2000წ
4. მეანობა და გინეკოლოგია-ვილიამსი ვ. ბეკი (რუსულ ენაზე) საველევას და სიჭინავას რედაქციით 1998
5. ოპერაციული მეანობა (რუსულ ენაზე) მ.მალინოვსკი 1974
6. ოპერაციული მეანობა (რუსულ ენაზე) მ.მალინოვსკი 1974
7. გინეკოლოგია--ლ. ვასილევსკაიას რედაქციით. 2000წ
8. გინეკოლოგია (რუსულ ენაზე)-- ათი მასწავლებლისგან სტიუარტ კემპბელის და კრისტოფა ლიზას რედაქციით. 2005წ.
9. გინეკოლოგია-ენჯვაკი (რუსულ ენაზე) ბეკერის,ადაშის და ხილარდის რედაქციით 2002წ/
10. მეანობა და გინეკოლოგია-ვილიამსი ვ. ბეკი (რუსულ ენაზე) საველევას და სიჭინავას რედაქციით 1998
11. ოპერაციული გინეკოლოგია-(რუსულ ენაზე) კულაკოვი ვ. სელეზნიოვა ნ. კრასნოპოლსკი ვ. 1990წ.
12. არაოპერაციული გინეკოლოგია--(რუსულ ენაზე)--ვ. სმეტნიკი, ლ.ტუმბილოვიჩი 1995წ.
13. Textbook of Laparoscopy--F.Hulka---Third Edition
- 14.
15. Medical Complications During Pregnancy--n. Burrow, P. Duffy, A.Copel--6th Edittion
16. William’s Obstetrics, 22 th ed, Cunningham et all, 2005

- 17. [www.mdconsult.net](http://www.mdconsult.net)
- 18. [www.emedicine.com](http://www.emedicine.com)
- 19. [www.rcog.org.uk](http://www.rcog.org.uk)
- 20. [www.acog.org](http://www.acog.org)

შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები. (მოცემულია ცხრილი № 2.1-ის სახით).  
ცხრილი № 2.1

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
1. ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვის თანამედროვე მიდგომები; 2. გართულებული ვაგინელური მშობიარობის მართვა. 3. სამეანო ოპერაციები 4. ნაადრევი და ვადაგადაცილებული მშობიარობის მართვა	მართვა:		
	• ფიზიოლოგიური მშობიარობა	50	რეზიდენტის მიერ მოდულის ათვისების ხარისხი ფასდება მოდულზე პასუხისმგებელი პირის მიერ კონსულტირებული პაციენტების რაოდენობის მიხედვით, დაწერილი და შესრულებული სამედიცინო დოკუმენტაციის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ფასდება შემდეგი უნარები: პროტოკოლებისა და გაიდლაინების გამოყენება; შემთხვევათა სიმძიმის განსაზღვრა და სამშობიარო მომსახურების ორგანიზება; კულტურული და რელიგიური მოსაზრებების გათვალისწინება; კოლეგებთან თანამშრომლობის უნარი; საკუთარი შესაძლებლობებისა და რეფერალის პრინციპების ცოდნა; სხვა პროფესიონალების ჩარევის საჭიროების შეფასება.  მოდულის შეფასება ხდება მოდულის დასრულების შემდეგ და წერილობითი ფორმით ეგზავნება პროგრამ-ხელმძღვანელს.
	• მშობიარობის III პერიოდის მართვა	60	
	• ამნიოტომია	15	
	• რბილი სამშობარო გზების დათვალიერება და აღდგენა	50	
	• ნაყოფის საშვილოსნოს შიდა სიკვდილი;	10	
	• ქალები, რომლებიც უარს ამბობენ სისხლის პრეპარატებზე;	5	
	• სამეანო სისხლდენა;	5	
	• მძიმე პრეეკლამპსია;	5	
	• მშობიარობის პრობლემები;	10	
	• კლინიკური რისკის გამოთვლა	60	
	• სხვა პერსონალთან თანამშრომლობა;	20	
	• CTG-ის გაშიფრვა;	15	
	მართვა:		
• სამშობიარო მოქმედების ინდუქცია;	20		
• სამშობიარო მოქმედების სტიმულაცია;	3		
• მხრების დისტოცია	5		
• მშობიარობის მართვა ტყუპი	20		

	<p>ნაყოფის დროს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკეისრო კვეთა</li> </ul>	15	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვაკუუმექსტრაქცია</li> </ul>	15	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამეანო მაშების ოპერაცია</li> </ul>	15	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკეისრო კვეთის შემდეგ მშობიარობა;</li> </ul>	20	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნაყოფის დამშლელი ოპერაცია</li> </ul>	10	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნაადრევი მშობიარობა;</li> </ul>	10	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნაყოფის სისხლის ნიშნის აღება</li> </ul>	20	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაუტკივარების კონსულტირება;</li> </ul>	15	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მკვდრად შობადობის შემთხვევაში ნაყოფის გაკვეთაზე კონსულტირება;</li> </ul>	15	
5. ქირურგიული მანიპულაციების ძირითადი პრინციპები;	წინასაოპერაციო გამოკვებების დანიშვნა:	15	
6. წინასაოპერაციო მოზადება სამეანო და გინეკოლოგიური მანიპულაციების წინ	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ წინასაოპერაციო მომზადების დაგეგმვა;</li> <li>▪ პოტენციური ზიანის გააზრება;</li> <li>▪ ინფორმირებული თანხმობის მიღება;</li> </ul>	20	
7. ოპერაციული ჩარევის ლეგალური ასპექტები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პაციენტისთვის პროცედურის რაობის ახსნა;</li> </ul>	10	
8. ინსტრუმენტები და საკერავი მასალა	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პოსტოპერაციული კურსის შეთავაზება პაციენტისთვის;</li> <li>▪ ტექნიკური კომპეტენცია;</li> <li>▪ მიიღოთ ინტრაოპერაციული გადაწყვეტილებები;</li> <li>▪ მართოთ ინტრაოპერაციული პრობლემები;</li> <li>▪ კომუნიკაცია დაამყაროთ კოლეგებთან და ნათესავებთან.</li> </ul>	10	
		10	

**ცოდნის კრიტერიუმები**

ეპიდემიოლოგია, ეტილოგია, პათოგენეზი, დიაგნოზი, პროფილაქტიკა, მართვა, მშობიარობა, გართულება, პროგნოზი შემდეგ დაავადებებში:

**ფიზ. და პათოლოგიური მშობიარობის მექანიზმები:**

- სპონტანური ვაგინალური მშობიარობის მექანიზმი,
- სამშობიარო მოქმედების აღძვრის მეთოდები, ჩვენებები, უკუჩვენებები და გართულებები,
- სამშობიარო მოქმედების სტიმულაციის მეთოდები, ჩვენებები, უკუჩვენებები და გართულებები,
- მიომეტრიუმისა და საშვილოსნოს ყელზე მოქმედი პრეპარატები;
- პარტოგრამის სტრუქტურა და მისი გამოყენება;
- სითხის ბალანსი მშობიარობისას,
- ტრანსფუზია;
- რეგიონული ანესთეზიის ტიპები და მოქმედების მეთოდები ეპიდურული (ლუმბალური, კაუდალური) , სპინალური, სასირცხო ნერვის ბლოკი, ჩვენებები და უკუჩვენებები;
- ანალგეზიისა და სედაციის ტიპები და მოქმედება –ნარკოტიკული პრეპარატები, პინოტიკები, პსიქოტროპული, არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო, ჩვენებები, უკუჩვენებები.
- ანესთეზიისა და ანალგეზიის გართულებები-გულის გაჩერება, სუნთქვის გაჩერება, ასპირაცია, რეაქცია.
- ნაყოფის მდგომარეობის შეფასება ელ. მონიტორინგის საშუალებით, მუცავ/ტუტოვანი წონასწორობა, ნაყოფის ქალაღან სისხლის აღება;
- ნაყოფის პიოპქსიის მიზეზები და მათი მართვა – ჭიპლარის გამოვარდნა, ნაყოფის სიკვდილი;
